

ნთემბრიდან ბენზინგასამართი სადგურების მასშტაბური შემოწმება დაიწყება



**საწვავის ხარისხის
გასაკონტროლებლად,
მთელი ქვეყნის
მასშტაბით 80
ბენზინგასამართი
სადგური, წინასწარი
გაფრთხილების
გარეშე,
შემოწმდება.**

„ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებით, მოსახლეობაში მუდმივად მუხირებს აზრი, რომ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუარესება უკავშირდება საავტომობილო საწვავის მოხმარებას. იმიტვის, რომ ვაკონტროლოთ, რამდენად შესაბამისობაშია საწვავი იმ ნორმებთან, რაც დადგენილია ქვეყანაში, წერს უკვე მეორედ ვახორციელებთ საწვავის კვლევას. არსებობს გარკვეული ნორმები შემადგენლობასთან დაკავშირებით, გადავწყვიტეთ, ნთემბრის დასაწყისიდან დავიწყოთ მასშტაბური შემოწმება“, – განაცხადა „კვირას“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, ნერი კორკოტაძემ.

მისი თქმით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაახლოებით 80 ბენზინგასამართ სადგურს შეამოწმებენ და 240 სინჯს აიღებენ.

„სინჯების დაბორატორიურ კვლევას განახორციელებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია. შემოწმებები განხორციელდება გაუფრთხილებლად, მივადთ კონკრეტულ სადგურთან და საწვავის სინჯებს ავიღებთ. 10 დღე დასჭირდება დაბორატორიური კვლევების ჩატარებას და ცხადია, ამ ინფორმაციას გავასაჯაროებთ. ეს იქნება

საჯარო და ხერმისანვლომი ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

კვლევის შედეგად, გვეცოდინება მთელი საქართველოს მასშტაბით რა ხარისხის საწვავი მიეწოდება მანქანებს. თუ აღმოვაჩინთ, რომ საწვავის ხარისხი არ არის შესაბამისი ნორმებთან, ამისთვის აღმინისტრაციურ სამართადარღვევათა კოდექსში არსებობს შესაბამისი სანქცია. თუ რეაღიზაციის პროცესში შეუსაბამობას აღმოვაჩინთ, კომპანია 8 000 ღარით დაჯარიმდება“, – აღნიშნა კორკოტაძემ.

მიმდინარე წელს პირველი კვლევისას 10 სადგური შემოწმდა.

„პირველი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყველა დამაბინძურებელი ნივთიერება, რომელიც საწვავშია, დღეს მოქმედ რეგულაციებთან ნორმაში იყო. საწვავს ვამოწმებთ გოგირდის, ტყვიის შემცველობაზე, ასევე დგინდება ოქტანობა რამდენია. შარშან იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა გოგირდის შემცველობა დიზელის საწვავში გადამეტებული იყო. სამი კომპანია დაჯარიმდა ამის გამო. 2014 წლიდან ვახორციელებთ კვლევებს და ტყვია არც ერთხელ აღმოჩენილა საწვავში. ვამოწმებთ როგორც ბრენდურ, ისე არაბრენდურ სადგურებს, როგორც თბილისის, ასევე საქართველოს მასშტაბით“, – განაცხადა ნერი კორკოტაძემ.